



პოლიეთილენის პარკები

სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერის

სატენდერო დოკუმენტაცია

თბილისი
2012 წელი

სარჩევი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის	3–5 გვ.
2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები	6 გვ.
3. ტექნიკური დოკუმენტაცია	7–8 გვ.
4. დამატებითი ინფორმაცია	9 გვ.
5. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი	10–13 გვ.
6. დანართი N1, აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა	14 გვ.
7. დანართი N2, სატენდერო წინადადების ფასი, მოქმედების ვადა, რეკვიზიტები	15–16 გვ.
8. დანართი N3, საბანკო გარანტიის ფორმა	17 გვ.
9. სურათი N1	18 გვ.
10. სურათი N2	19 გვ.

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პოცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ შესაბამისად.

1.2. სატენდერო წინადადების წარდგენისთვის საჭიროა პრეტენდენტი დარეგისტრირდეს ერთიან ელექტრონულ სისტემაში „მიწოდების“ სტატუსით, ვალდებულია გაეცნოს აფიდავიტის ფორმას და დაეთანხმოს მას სისტემის მეშვეობით (იხ.დანართ №1 აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა)

1.3. ამის შემდეგ, მიმწოდებელი ვალდებულია ჯერ წარმოადგინოს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია სატენდერო განცხადებაში მითითებული სავარაუდო ღირებულების 1%-ის, ხოლო შემდეგ გადაიხადოს ტენდერში მონაწილეობის საფასური, რომელიც შეადგენს 50 ლარს.

1.4. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტიის წარდგენისა და საფასურის გადახდის სისტემაში არსებული ავტომატური საშუალებების დროებითი ტექნიკური გაუმართაობის შემთხვევაში, ელექტრონული გარანტიის წარდგენა და საფასურის გადახდა შესაძლებელია განხორციელდეს სისტემის გამოყენების გარეშე, რის თაობაზეც შემსყიდველი ორგანიზაცია წერილობით ატყობინებს სააგენტოს.

1.5. ამ ინსტრუქციის 1.4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, როდესაც ხდება ელექტრონული გარანტიის და საფასურის გადახდა სისტემის გამოყენების გარეშე, ელექტრონული გარანტიის დედანი და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი წარედგინება შემსყიდველ ორგანიზაციას. აღნიშნული ქმედების განხორციელების გარეშე პრეტენდენტს არ აქვს სატენდერო წინადადების წარდგენისა და შესაბამისად ტენდერში მონაწილეობის შესაძლებლობა.

1.6. მას შემდეგ, რაც ზემოაღნიშნულ ქმედებებს განხორციელებს პრეტენდენტი, მას უფლება აქვს სისტემის მეშვეობით წარადგინოს სატენდერო წინადადება.

1.7. სატენდერო წინადადება შედგება სატენდერო წინადადების ფასისგან და ტექნიკური დოკუმენტაციისგან.

1.8. ტექნიკური დოკუმენტაცია არის პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული შესყიდვის ობიექტისა და პრეტენდენტის შესახებ ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც მოთხოვნილია სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით, გარდა ადმინისტრაციული ორგანოდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა.

1.9. ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვის შემდეგ, პრეტენდენტს შესაძლებლობა აქვს მიუთითოს სატენდერო წინადადების ფასი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

1.10. პრეტენდენტმა სისტემაში უნდა მიუთითოს სატენდერო წინადადების ფასი, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას ან უნდა იყოს შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე სულმცირე ერთი ბიჯით ნაკლები. ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვისა და წინადადების ფასის მითითების შემდეგ, დაუშვებელია ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაციის სისტემის მეშვეობით შეცვლა, გაუქმება ან წაშლა. სატენდერო წინადადების ფასის მითითებისთანავე პრეტენდენტს უფლება აქვს მიიღოს მონაწილეობა ელექტრონულ ვაჭრობაში, რომელიც იყოფა ძირითად დროდ და დამატებით 3 რაუნდად.

1.11. ძირითად დროში პრეტენდენტს უფლება აქვს ცვალოს სატენდერო წინადადების ფასი, კლებადობის პრინციპის გათვალისწინებითა და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ბიჯზე არანაკლები ოდენობით.

1.12. ბიჯი არის სატენდერო წინადადების ფასის კლების წინასწარ განსაზღვრული მინიმალური ოდენობა, რომელიც მითითებულია სატენდერო განცხადების შესაბამის ველში.

1.13. დამატებითი რაუნდების თითოეულ რაუნდში პრეტენდენტს უფლება აქვს მხოლოდ ერთხელ შეამციროს წინადადების ფასი, რისთვისაც განესაზღვრება ორი წუთი. დამატებით რაუნდებში მონაწილეობა სავალდებულო არ არის და პრეტენდენტს უფლება აქვს რაუნდში მონაწილეობა არ მიიღოს. შესაბამისად ძალაში დარჩება მის მიერ ბოლოს დაფიქსირებული ფასი. რაუნდებში მონაწილეობის მიღება გულისხმობს ზემოთ აღნიშნული პრინციპით ფასის შემცირებას ან

მის იგივე ოდენობით დატოვებას.

1.14. დამატებით რაუნდებში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებმაც ძირითად დროში წარადგინეს წინადადება დადგენილი წესით. პირველ რაუნდში პრეტენდენტის მიერ წინადადების ფასის წარდგენის რიგითობა განისაზღვრება ძირითად დროში წარდგენილი წინადადების ფასის მიხედვით, კერძოდ, პირველ რაუნდში ბოლო შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც ძირითად დროში ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა, ხოლო ყოველ მომდევნო რაუნდში - კი ის პრეტენდენტი, რომელმაც წინა რაუნდში ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა. წინადადების თანაბარი ფასების დაფიქსირების შემთხვევაში, რაუნდში პირველ შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც ბოლომ დააფიქსირა ასეთი ფასი.

1.15. მას შემდეგ, რაც დასრულდება დამატებითი რაუნდები, სისტემა პრეტენდენტებს აჯგუფებს სატენდერო წინადადების ფასის მიხედვით. ამის შემდეგ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მოწმდება ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია.

1.16. იმ შემთხვევაში თუ ორი ან მეტი პრეტენდენტის მიერ სისტემაში მითითებულია თანაბარი ფასი, სისტემა ავტომატურად ანიჭებს უპირატესობას იმ პრეტენდენტს, რომელმაც პირველმა მიუთითა სატენდერო წინადადების აღნიშნული ფასი.

1.17. თუ პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ მოთხოვნებს, კომისიის გადაწყვეტილებით ხდება პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია, გარდა ამ პუნქტის 1.18 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

1.18. სატენდერო კომისია არ ახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას, თუ მის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეიცავს ისეთ მონაცემებს ან/და შეიცავს ისეთ უზუსტობებს რომელთა წარმოდგენა ან/და დაზუსტება არ გამოიწვევს მის არსებით ცვლილებას და არ მოახდენს გავლენას წინადადების ფასზე. აღნიშნულ შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს პრეტენდენტს მის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნით, რისთვისაც განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, მაგრამ არა უმეტეს 3 სამუშაო დღისა. თუ აღნიშნულ ვადაში არ მოხდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის დაზუსტება, სატენდერო კომისია ახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

1.19. იმ შემთხვევაში თუ ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია შეესაბამება სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემულ მოთხოვნებს, შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს მას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გასაცემი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნით.

1.20. პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში ხორციელდება სისტემის გამოყენების გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით.

1.21. სატენდერო კომისია ახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-13 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

1.22. ამ პუნქტის 1.21 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს ყველაზე დაბალი ფასის მქონე მომდევნო პრეტენდენტს, თუ ამ პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია შეესაბამება სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემულ მოთხოვნებს.

1.23. ელექტრონული გარანტია უბრუნდება პრეტენდენტს „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-16 მუხლით მე-6 პუნქტის შესაბამისად.

1.24. იმ შემთხვევაში, თუ ელექტრონული გარანტიის პრეტენდენტისათვის დაბრუნება მოხდება ამ ინსტრუქციის 1.23 პუნქტში მითითებული პირობების დარღვევით, პრეტენდენტი ვალდებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დაუბრუნოს საგარანტიო თანხა შესაბამისი მოთხოვნისთანავე.

1.25. ტენდერის შეწყვეტა:

ა) სატენდერო კომისიას უფლება აქვს შეწყვიტოს ტენდერი თუ ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შემდეგ, მომდევნო ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის წინადადების ფასი ბაზარზე შეცვლილი

გარემოებების შედეგად, მნიშვნელოვნად აღემატება დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულ ფასს ან/და ამ შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულებას.

ბ) სატენდერო კომისიას უფლება აქვს გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის შემთხვევებში ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე;

გ) შესყიდვის პროცედურების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, პრეტენდენტებსწარუდგინოს კონკრეტული მტკიცებულება ან დეტალური ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც მიიღო ეს გადაწყვეტილება. შესყიდვის პროცედურების შეჩერებისას ან შეწყვეტისას შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, აანაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

1.26. ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანები.

1.27. დოკუმენტაციასთან დაკავშირებული სადავო საკითხების გადაწყვეტისას უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.28. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

1.29. ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.30. პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები

2.1 პრეტენდენტის მიერ ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები:

2.1.1 იურიდიული პირებისათვის:

- ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;
- ბ) ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

2.1.2 ინდივიდუალური მეწარმეთათვის:

- ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;
- ბ) ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

2.1.3 ფიზიკური პირებისათვის:

- ა) ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

შენიშვნა: ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის შესახებ მოთხოვნა ვრცელდება სუბ-კონტრაქტორებზეც (მათი არსებობის შემთხვევაში).

2.2 ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის "კ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის (სტატუსი – ტენდერი გამოცხადებულია) დაწყების შემდგომ პერიოდში. ხოლო არარეზიდენტი პრეტენდენტის შემთხვევაში – საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის "კ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყებამდე არა უგვიანეს ოცდაათი დღისა;

2.3 ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები, წარმოდგენილ უნდა იქნეს შემსყიდველი ორგანიზაციაში მოთხოვნის შესაბამისად, (არა უმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში).

2.4 არარეზიდენტმა პრეტენდენტ(ებ)მა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, უნდა მიუთითონ და წარმოადგინონ ამონაწერი იმ ნორმატიული აქტიდან, რითაც დასტურდება წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების გამგები შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების უფლებამოსილება აღნიშნულთან დაკავშირებით, წარმოდგენილ ყველა დოკუმენტს თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

2.5 პრეტენდენტის მიერ ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში ხორციელდება სისტემის გამოყენების გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით. პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში, სატენდერო კომისია მოახდინს ამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

3. ტექნიკური დოკუმენტაცია

3.1 როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისთვის წარმოსადგენია:

3.1.1. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს რეკვიზიტები, სატენდერო წინადადების ფასი, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა (სისტემაში წინადადების მიღების დაწყებიდან არანაკლებ 30 კალენდარული დღე) და ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ოდენობა – დანართი №2-ის მიხედვით.

3.1.3. პრედენდენტის მიერ წარმოსადგენი 3.1.1. პუნქტით გათვალისწინებული მონაცემები ელექტრონულ სისტემაში უნდა აიტვირთოს ტექნიკურ დოკუმენტაციასთან ერთად.

3.2 შესყიდვის ობიექტი, ობიექტის მიწოდების პირობები და ვადები:

3.2.1. შესყიდვის ობიექტია: **პოლიეთილენის პარკები** – შემდგომში საქონელი.

3.2.2. შესყიდვის ობიექტის, დახასიათება, რაოდენობა და პარამეტრები იხილეთ შესყიდვის ობიექტის ტექნიკურ დავალებაში.

3.2.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 30 სამუშაო დღის ვადაში.

3.2.4. საქონლის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, გ. გულუას ქ№4 "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო".

3.3 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება:

3.3.1. მოსაწოდებელი საონლის დასახელება, რაოდენობა, აღწერილობა

№	დასახელება	აღწერილობა	ზომა (სმ)	წონა არანაკლებ (გრამი)	რაოდენობა (ცალი)
1	პოლიეთილენის პარკი (სააგენტოს ლოგოთი და დასახელებით)	თეთრი ფერის გამჭვირვალე პოლიეთილენის პარკი რომელიც დამზადებული უნდა იყოს მაღალი წნევის პირველადი პოლიეთილენისაგან (რომელიც გამოიენება კვების პროდუქტების შესაფუთად) არ უნდა შეიცავდეს ქიმიურ დანამატებს	30სმX50სმ	6,3 გრამი	9000
2		წნევის პირველადი პოლიეთილენისაგან (რომელიც გამოიენება კვების პროდუქტების შესაფუთად) არ უნდა შეიცავდეს ქიმიურ დანამატებს	52სმX100სმ	57 გრამი	9000
3		წნევის პირველადი პოლიეთილენისაგან (რომელიც გამოიენება კვების პროდუქტების შესაფუთად) არ უნდა შეიცავდეს ქიმიურ დანამატებს	72სმX140სმ	145 გრამი	9000
4		თეთრი ფერის გაუმჭირვალე პოლიეთილენის პარკი, რომელიც დამზადებული უნდა იყოს დაბალი წნევის პირველადი პოლიეთილენისაგან (რომელიც გამოიენება კვების პროდუქტების შესაფუთად) არ უნდა შეიცავდეს ქიმიურ დანამატებს	23სმX30სმ	3,6 გრამი	6000
5		თეთრი ფერის გაუმჭირვალე პოლიეთილენის პარკი, რომელიც დამზადებული უნდა იყოს დაბალი წნევის პირველადი პოლიეთილენისაგან (რომელიც გამოიენება კვების პროდუქტების შესაფუთად) არ უნდა შეიცავდეს ქიმიურ დანამატებს	40სმX50სმ	24,6 გრამი	6000
6	პოლიეთილენის პარკი (სააგენტოს მაღაზიის ლოგოთი და დასახელებით)	თეთრი ფერის გაუმჭირვალე პოლიეთილენის პარკი, რომელიც დამზადებული უნდა იყოს დაბალი წნევის პირველადი პოლიეთილენისაგან (რომელიც გამოიენება კვების პროდუქტების შესაფუთად) არ უნდა შეიცავდეს ქიმიურ დანამატებს	23სმX30სმ	3,6 გრამი	50000
7		თეთრი ფერის გაუმჭირვალე პოლიეთილენის პარკი, რომელიც დამზადებული უნდა იყოს დაბალი წნევის პირველადი პოლიეთილენისაგან (რომელიც გამოიენება კვების პროდუქტების შესაფუთად) არ უნდა შეიცავდეს ქიმიურ დანამატებს	40სმX50სმ	24,6 გრამი	50000

3.3.2. პოლიეთილენის პარკები გაფორმებული უნდა იყოს შესაბამის ფერადი წარწერით

- სააგენტოს ლოგო და დასახელება– ნიმუშის შესაბამისად (იხ. სურათი #1)
- სააგენტოს მაღაზიის ლოგო და დასახელება– ნიმუშის შესაბამისად (იხ. სურათი #2)

3.3.3. მიწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქონლის განფასება დანართი №2-ის მიხედვით. (შემოთავაზებული ფასი უნდა მოიცავდეს ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს).

3.4 ანგარიშსწორების პირობები:

3.4.1. სატენდერო წინადადებაში ერთეულისა და საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

3.4.2. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარისწორებით ლარში, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

3.4.3. ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 სამუშაო დღის განმავლობაში.

3.4.4. წინასწარი გადახდის მექანიზმი არ გამოიყენება.

3.5 ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია:

3.5.1. ტენდერში გამოყენებულ იქნება ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ის ოდენობით, დანართი №3-ის მიხედვით.

3.5.2. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა ძალაში უნდა იყოს ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

3.6 დამატებითი მოთხოვნები:

3.6.1. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი (ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული) ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი და ბეჭედდასმული (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს ხელმძღვანელის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ.

3.6.2. სატენდერო წინადადება, აგრეთვე ამ წინადადებასთან დაკავშირებული შემსყიდველსა და პრეტენდენტს შორის გაცვლილი მთელი კორესპონდენცია და დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე.

3.6.3. სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს ყველა ხარჯის, ასევე მიმწოდებლისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადებისა და მოსაკრებლების გათვალისწინებით.

3.6.4. სატენდერო წინადადების საერთო და თითოეული ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში - ლარი.

3.6.5. სხვადასხვა ვალუტაში გამოსახული სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

3.6.6. გამარჯვებულმა პრეტენდენტმა ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა წარმოადგინოს ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ფასი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დანართი №2-ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4. დამატებითი ინფორმაცია

დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში

მისამართი: თბილისი, გ. გულუას ქ№4, სსიპ "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო".

საკონტაქტო პირი: ეკატერინე ირემაძე

ტელეფონი: (+995 32) 2 601 601

ხელშეკრულება № —
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

პროექტი

(წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად გამარჯვებულ პრეტენდენტთან. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობები დაზუსტდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი)

ქ. თბილისი

2012 წლის _____

ერთის მხრივ, სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო“ (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი _____ სახით და

მეორეს მხრივ, _____ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი _____ სახით,

„სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის (SPAN#-----) ჩატარების შედეგად აფორმებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

- 1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით, ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები
- 1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
- 1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
- 1.4 „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 1.5 „მიმწოდებელი“ – პირი, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში და ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
- 1.6 „საქონელი“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი.
- 1.7 „ტექნიკური დავალება“ – სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.

2. შესყიდვის ობიექტი

- 2.1. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს პოლიეთილენის პარკების შესყიდვა (შემდგომში საქონელი). CPVკოდი 18937000
- 2.2. შესყიდვის ობიექტის დასახელება, დეტალური აღწერა და პირობები მოცემულია ტექნიკურ დავალებაში, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.

3. ხელშეკრულების ღირებულება

- 3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: ლარს.
(სახელშეკრულებო თანხა ციფრობრივად, სიტყვიერად)
- 3.2 შესყიდვის ობიექტის ერთეულის ფასი, რაოდენობა და საერთო ღირებულება მოცემულია ხელშეკრულების დანართში (მომწოდებლის სატენდერო წინადადება), რომელიც ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.
- 3.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადებაში მითითებულ ფასებს და უნდა მოიცავდეს ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა თანამდევ ხარჯს, მათ შორის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

- 4.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდება ხორციელდება: _____
- 4.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ.თბილისი, გ. გულუას ქ№4 სსიპ "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს" ოფისი;

5. მხარეთა უფლება–ვალდებულებები

5.1 შემყიდველს უფლება აქვს :

5.1.1 შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის მახასიათებლების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

5.1.2 რაიმე ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, აცნობოს და მოთხოვოს მიმწოდებელს ნაკლის დაუყოვნებლივ გამოსწორება.

5.1.3 მოითხოვოს მიმწოდებელისგან ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

5.2 შემყიდველი ვალდებულია:

5.2.1 განახორციელოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

5.2.2 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

5.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

5.3.1 მოთხოვოს შემყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

5.4.1 უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულება.

5.4.2 შემყიდველს მიაწოდოს ხარისხიანი შესყიდვის ობიექტი, რომელიც არ გამოავლენს დეფექტებს.

5.4.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პროცესში არსებული შეფერხების შესახებ აცნობოს შემყიდველს.

5.4.4 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პროცესში რაიმე ნაკლის გამოვლენის შემთხვევაში, უზრუნველყოს მისი გამოსწორება დაუყოვნებლივ (გაწიოს საჭირო მომსახურება და/ან ახალი შესყიდვის ობიექტის მიწოდება), შემყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯების გარეშე.

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების შესაბამისად.

6.2 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებისა და მიმწოდებლის მიერ სააქონლო ზედნადებისა და/ან საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარდგენის საფუძველზე, შესაბამისი დოკუმენტების წარდგენიდან არაუგვიანეს 20 კალენდარული დღის ვადაში.

6.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

7. ხელშეკრულების ინსპექტირება

7.1 შემყიდველი ახორციელებს კონტროლს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

7.2 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემყიდველი ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

7.3 ინსპექტირებას ახორციელებენ შემყიდველის თანამშრომლები (შემდგომში ინსპექტირები ჯგუფი).

7.4 ინსპექტირების ჯგუფის ფუნქციებია:

7.4.1 გაუწიოს კონტროლი შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას.

7.4.2 განახორციელოს კონტროლი შესყიდვის ობიექტის ხარისხზე, ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისობაზე.

7.4.3 მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე უზრუნველყოს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.5 ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

8.1 შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისად, რომელიც დასტურდება მხარეების ან მათი წარმომადგენლების (უფლებამოსილი პირების) ხელმოწერებით.

8.2 ხელშეკრულების 5.4 პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში შემყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებაზე და მოითხოვოს ხელშეკრულების პირობების შესრულება შემყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება შესყიდვის ობიექტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის მნიშვნელოვანი დარღვევის (გამოუსწორებელი ნაკლის, ისეთი ნაკლის, რომლის გამოსწორება შეუძლებელია განსაზღვრული მატერიალური და დროის დანახარჯების გარეშე, ან რომელიც კვლავ აღმოჩნდება ნაკლის გამოსწორების შემდეგ) შემთხვევაში.

9.2 შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ თუ:

ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში მიმწოდებელს არ შეუძლია შესყიდვის ობიექტის სრულად ან ნაწილობრივ მიწოდება;

ბ) მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

გ) შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) მიმწოდებლის მიმართ დაიწყო გადახდისუნარიობის საქმის წარმოება;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

9.3 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.4 ხელშეკრულების 9.3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 10 დღით ადრე წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1 ფორსმაჟორული გარემოებების გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მხარეებს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ფორს-მაჟორი

11.1 მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.

11.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისგან.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.

12.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

13.1 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობის შესაბამისი საბანკო გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების გამო.

13.2 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სახელშეკრულებით ვადას.

13.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებას ან ხელშეკრულების მოქმედება შეწყდება მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს გარანტიის დაუყოვნებლივ დაბრუნება.

14. დავების გადაჭრის წესი

14.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკებების საფუძველზე.

14.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელისმოწერისთანავე და ძალაშია 2012 წლის — ჩათვლით.

16. დასკვნითი დებულებები

16.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

16.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

17. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

სსიპ "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს

მომსახურების სააგენტო"

ქ. თბილისი, გულუას ქ. № 4

ტელ: (995 32) 2 601 601

საიდენტიფიკაციო კოდი: 205081249

ს.ს. "ზაზისბანკი"

ბანკის კოდი: 220101956,

ა/ა GE02BS000000007434110

აფიდავიტი

გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

- * ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებული იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;
- * უფლებამოსილი ვარ პრეტენდენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;
- * ნებისმიერი პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;
- * ჩემთვის ცნობილია, რომ ტერმინი „კონკურენტი“ აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში;
- * მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:
 - სატენდერო წინადადების ფასი;
 - სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
 - სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
 - ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებულ ტენდერის პირობებს;
 - შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება;
- * სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების გამარჯვების მომენტამდე.

გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოდგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმოწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის- სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195¹ მუხლის შესაბამისად.

სატენდერო წინადადების ფასი , რაოდენობა, მოქმედების ვადა

(შეცვლის თარიღი)

სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული პოლიეთილენის პარკების
(პრეტენდენტის დასახელება)

მიწოდებას გთავაზობთ _____ (_____) ლარად.
(თანხა ციფრებით) (თანხა სიტყვიერად)

N	დასახელება/აღწერილობა	ზომა	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება	მიწოდების ვადა
1	2	3	5	6	7	8
1	თეთრი ფერის გამჭირვალე პოლიეთილენის პარკი (სააგენტოს ლოგოთი და დასახელებით), რომელიც დამზადებულია მაღალი წნევის პირველადი პოლიეთილენისაგან (რომელიც გამოიენება კვების პროდუქტების შესაფუთად) არ შეიცავს ქიმიურ დანამატებს	30სმX50სმ	9000ც	_____	_____	სამუშაო დღის განმავლობაში
2	თეთრი ფერის გამჭირვალე პოლიეთილენის პარკი (სააგენტოს ლოგოთი და დასახელებით), რომელიც დამზადებულია მაღალი წნევის პირველადი პოლიეთილენისაგან (რომელიც გამოიენება კვების პროდუქტების შესაფუთად) არ შეიცავს ქიმიურ დანამატებს	52სმX100სმ	9000ც	_____	_____	
3	თეთრი ფერის გამჭირვალე პოლიეთილენის პარკი (სააგენტოს ლოგოთი და დასახელებით), რომელიც დამზადებულია მაღალი წნევის პირველადი პოლიეთილენისაგან (რომელიც გამოიენება კვების პროდუქტების შესაფუთად) არ შეიცავს ქიმიურ დანამატებს	72სმX140სმ	9000ც	_____	_____	
4	თეთრი ფერის გამჭირვალე პოლიეთილენის პარკი (სააგენტოს ლოგოთი და დასახელებით), რომელიც დამზადებულია დაბალი წნევის პირველადი პოლიეთილენისაგან (რომელიც გამოიენება კვების პროდუქტების შესაფუთად) არ შეიცავს ქიმიურ დანამატებს	23სმX30სმ	6000ც	_____	_____	
5	თეთრი ფერის გამჭირვალე პოლიეთილენის პარკი (სააგენტოს ლოგოთი და დასახელებით), რომელიც დამზადებულია დაბალი წნევის პირველადი პოლიეთილენისაგან (რომელიც გამოიენება კვების პროდუქტების შესაფუთად) არ შეიცავს ქიმიურ დანამატებს	40სმX50სმ	6000ც	_____	_____	
6	თეთრი ფერის გამჭირვალე პოლიეთილენის პარკი (სააგენტოს მაღაზიის ლოგოთი და დასახელებით), რომელიც დამზადებულია დაბალი წნევის პირველადი პოლიეთილენისაგან (რომელიც გამოიენება კვების პროდუქტების შესაფუთად) არ შეიცავს ქიმიურ დანამატებს	23სმX30სმ	50000ც	_____	_____	
7	თეთრი ფერის გამჭირვალე პოლიეთილენის პარკი (სააგენტოს მაღაზიის ლოგოთი და დასახელებით), რომელიც დამზადებულია დაბალი წნევის პირველადი პოლიეთილენისაგან (რომელიც გამოიენება კვების პროდუქტების შესაფუთად) არ შეიცავს ქიმიურ დანამატებს	40სმX50სმ	50000ც	_____	_____	

ჩვენს მიერ შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი გაანგარიშებულია ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

ვეთანხმებით ტექნიკური დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ ჩვენი სატენდერო წინადადება ძალაშია სატენდერო წინადადების მიღების ვადის დაწყებიდან არანაკლებ 30 კალენდარული დღე.

ტენდერში გამარჯვების შემთხვევაში ჩვენს მიერ წარმოდგენილი იქნება ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 2%-ის ოდენობით.

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

(ხელმოწერა)

პრეტენდენტის რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება: _____

ხელმძღვანელის სახელი და გვარი: _____

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი: _____

საიდენტიფიკაციო კოდი: _____

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი: _____

ელექტრონული მისამართი: _____

ბანკი, ბანკის კოდი: _____

ანგარიშსწორების ანგარიში: _____

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

(ხელმოწერა)

**ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა
(საბანკო გარანტია)**

ვის: _____
(შემსყიდველის დასახელება)

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ _____
(მიმწოდებლის დასახელება)

შემდგომში „მიმწოდებელმა“ _____ ტენდერში წარდგენილი თავისი
(ტენდერის დასახელება)

სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ თანხმა ვართ გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთ აღნიშნული გარანტია. ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე:

(თანხა ციფრობრივად, სიტყვიერად, ვალუტის მითითებით)

და ვკისრულობთ ზემო აღნიშნული თანხის გადახდას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე.

წინამდებარე გარანტია ძალაშია ხელშეკრულების ვადის დასრულებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

გარანტების ხელმოწერა და ბეჭედი

(თარიღი)

(მისამართი)



